№2651 2015 წლის 11 დეკემბერი ქ. თბილისი

სსიპ – ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სსიპ – ქართული წიგნის ეროვნულმა ცენტრმა 2016 წლის განმავლობაში მისთვის განსაზღვრული ასიგნებებიდან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს:

ა) ლიტერატურული თარგმანებისა და მათი გამოცემების ხელშეწყობისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;

ბ) ქართული არამხატვრული ლიტერატურის განვითარებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, საგამომცემლო პროექტების ხელშეწყობისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;

გ) საზღვრებს გარეთ, ქართული ლიტერატურისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, საერთაშორისო წიგნის ბაზრობებსა და ფესტივალებზე საქართველოს ეროვნული სტენდების, პავილიონებისა და

ეროვნული პროგრამების და პროექტების წარდგენისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;

დ) საერთაშორისო წიგნის ბაზრობებთან და მათ კონტრაქტორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;

ე) ქართველი მწერლებისა და ლიტერატურის მთარგმნელებისთვის საერთაშორისო წიგნის ბაზრობებში, კონფერენციებში, ფორუმებში, ფესტივალებში, სემინარებში, ლიტერატურულ საღამოებში მონაწილეობისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;

ვ) გამომცემლებისთვის, რედაქტორებისთვის, ლიტერატურის მთარგმნელებისა და ლიტერატურული აგენტებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების, სემინარების, ფორუმების, კონფერენციების ორგანიზებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების უზრუნველყოფისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**